



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31213212

თარიღი:17/11/2021

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ოქმი N18

ქ. ლანჩხუთი

16. 11. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნახაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეგალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

**მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნა საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივისა და მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე. საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების

დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე მახათაძე/

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშნიამ**. მან განმარტა, რომ ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის მომართვის საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალა საქონელი და მომსახურების 40000 ლარის შემცირების ხარჯე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 40000 ლარით. ააიპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წერილის საფუძველზე ხელფასის ფონდის 9000 ლარის შემცირების ხარჯე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 9000 ლარით. ბიუჯეტის შესრულების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ დღეის მდგომარეობით სარეზერვო ფონდი სრულად არის ათვისებული, ხოლო წლის დარჩენილ პერიოდისათვის მოსალოდნელია გარკვეული წინასწარ დაუგეგმავი საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსება, აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დამატებით გაიზარდოს სარეზერვო ფონდი 15000 ლარით. ასევე სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე მიზანშეწონილია გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოებზე დამატებით მიიმართოს 60000 ლარი. ასევე განხილული იქნა შპს „ფეხბურთის კლუბ ლანჩხუთის გურიას წერილი და დაფინანსება სსიფ დავალიანების დაფარვის გამო გაეზარდოს 50000 ლარით. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს ჯარიმების, სანქციების და საურავების გვემის 125000 ლარით ზრდის ხარჯზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოებზე დამატებით მიმართული 60000 ლარით სრულად ვერ მოხდება ქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია, მაგრამ ცენტრალურ უბნებში აუცილებლად უნდა მოხდეს რამდენიმე მონაკვეთზე ასფალტის საფარის ორმოვანი შეკეთება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.  
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა დადგენილება N 25(16.11.2021)**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,8 პროცენტით. მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155<sup>1</sup> მუხლის

2-ე პუნქტის მოთხოვნებს. საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენს 13 434 800 ლარს. მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

საკრებულოს დაფინანსება - 850,0 ათასი ლარი;

მერია - 2300,0 ათასი ლარი;

მათ შორის თანამშრომლების სწავლება გადამზადება - 20,4 ათასი ლარი

არეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური-150,0 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი;

ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრი 280,0 ათ. ლარი;

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 10,0 ათ ლარი.

2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13174,5 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 847,7 თასი ლარით (6,9 %-ით).

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9281,9 ათასი ლარით;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 13,0 %-ით (1070,8 თასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1000,0 ათას ლარს;

2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 500 ათასი ლარით არის შემცირებული, რაც გამოწვეულია უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადის შემცირებით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 245,0 ათასი ლარით, მათ შორის:

სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 245.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინანსებაზე; 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები გაიზარდა 45000 ლარით (11,3%-ით).

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 110,0 ათასი ლარი;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 50,0 ათასი ლარით. შემცირება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით (სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით).

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 73,0 ათასი ლარის ოდენობით;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2464,6 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 10,3 ათასი ლარს. ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ.ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 13434,8 ათას ლარს (2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1110,3 ათასი ლარით).

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 2026,9 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 337,8 ათასი ლარი;

გზების მიმდინარე შეკეთება-150000 ლარი;

საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება-187800 ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -85,0 ათასი ლარი;

გარე განათება - 560,0 ათასი ლარი;

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

კეთილმოწყობის ღონისძიებები-143,5 ათასი ლარი;

სადღესასწაულო ღონისძიებები-30000 ლარი;

შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია-10000 ლარი;

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა-103500 ლარი;

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება-20600 ლარი;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 780,0 ათასი ლარი:

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1580,9 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1422,9 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 138,0 ათასი ლარი;

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 2730,5 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 2700,0 ათასი ლარი;

განათლების ღონისძიებები - 30,5 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2431,5 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1173,5 ათასი ლარი;

სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა-1135,0 ათასი ლარი;

სპორტული ცენტრის ხელშეწყობა-500,0 ათასი ლარი;

სტადიონის ფუნქციონირება-185,0 ათასი ლარი;

ქალთა სპორტის განვითარება-150,0 ათასი ლარი;

საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა-300,0 ათასი ლარი;

სპორტული ღონისძიებები-38,5 ათასი ლარი;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1244,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა-40000 ლარი;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -14,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდობის ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 915,0 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 170,0 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების შემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

სოციალური პროგრამები - 745,0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:

ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი-36800 ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა -40000 ლარი;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა -92000 ლარი;

ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა-15000 ლარი;

მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა-15000 ლარი;

მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა-130000 ლარი;

იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-15300 ლარი;

ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა-57000 ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა-80000 ლარი;

„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა-40000 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით შემოსულია წერილი, რომ პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით ამ პროგრამის დაფინანსება გაჩერდეს. რადგან უკვე ბიუჯეტის პროექტი შედგენილი იყო, მიმდინარე წელს მოხდება ამ პროგრამის გატანა, მომავალი წლიდან კი შესაძლებელია პროგრამის ამოღება და თანხების გადანაწილება სხვა სოციალურ პროგრამაზე.

100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა-3000 ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა-25000 ლარი;

უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-2500 ლარი;

ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა-40000 ლარი;

მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა-30000 ლარი;

შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-16000 ლარი;

ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლედ შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა-30000 ლარი;

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა-3000 ლარი;

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა-6000 ლარი;

მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა-4000 ლარი;

0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვების და შშმ ბავშვების, რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-2000 ლარი;

ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა-3600 ლარი;

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-33600 ლარი;

კოვიდ 19 ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა-25000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.  
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N51 (16.11.2021)**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ**. მან განმარტა, რომ ცვლილება განპირობებულია ხელფასების თანასწორობასთან, გათანაბრებასთან და დარეგულირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ხელფასი აუცილებელია 700 ლარის ნაცვლად გახდეს 800 ლარი. დადგენილების ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 01 იანვარი, შესაბამისად სახელფასო ფონდში ეს ცვლილება წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.  
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა(ამირან გიგინეიშვილმა).  
მიღებულ იქნა განკარგულება N52 (16.11.2021)**

**ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი








ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატთა  
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

16 ნოემბერი 2021 წელი  
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:08.	
2	ვლადიმერ ნანაძე	11:55	
3	ვერიკო კვიციანი	11:55	
4	ალექსანდრე მახათაძე	11:50	
5	გიორგი ჩახვაძე	11:55	
6	გიორგი გვარჯალაძე		
7	ემზარ თევდორაძე	12:00	
8	ბესიკ კუპრაძე	11:57	
9	გოგი მორჩილაძე	12:00	
10	სპარტაკ კვაჭაძე	11-58	
11	ლელა ჩახვაძე		
12	ზაზა წულაძე	11:00.	
13	კახა ბოლქვაძე	11:57	
14	ციცინო ჩხაიძე	11:58	
15	კარლო კვიციანი	10:55	
16	ზურაბ კუკულავა		
17	ოთარ პატიშვილი		
18	ირაკლი მარშანიშვილი		
19	იოსებ ჩხაიძე		
20	ელისო ჭიჭინაძე	10:50	
21	ამირან ქანთარია		
22	დავით ჩხარტიშვილი		
23	აკაკი იმნაიშვილი	12:01	



24	ზაალ სანაძე	11 55	
25	რევაზ კვერენჩილაძე		
26	კახაბერ ასკურავა		
27	ამირან გიგინეიშვილი	11 50	
28	ცისანა ურუშაძე		
29	გოდერძი ქურიძე	11 55	
30	კახა თედორაძე	11 55	
31	რეზო კვაჭაძე	11 55	
32	ვენე კვიციანი	11 55	